



„გახსოვდეს უნდა ღმერთს ხარ!“

# გვარი და ცრადიცია

## 4 (31)

აპრილი 2016 წ.

სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს და საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გაზეთი



### გილოცავთ ანგელოზების ბრწყინვალე ქრისტესწავლებლებს!

ქრისტე აღდგა,  
გინართდეთ,  
შეგეწით უფლის მადლი!

ქრისტე აღდგა  
საქართველოვ,  
აღორძინდი, გამინართდი!  
გინართ ქართველებო,  
წარსულს გაჰყვეს ძველი დარდი,  
გულს ნაღველი გადიყარეთ,  
დაგეფინთ პირზე ვართდი!  
საგალ გზაზე სიყვარული  
მოგყვებოდეთ გზად და ხიდად.

ქრისტე აღდგა,  
გინართდეთ,  
ქრისტე აღდგა!  
ჭეშმარიტად!

ნარბიზან ტუბიძე

### ქრისტე აღდგა!

### ჭეშმარიტად აღდგა!



# საინჟოჟეჟასიო ქჟონიჟა

2016 წლის 4 აპრილს გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძლოლთა დარბაზის აჟტივის შეკრება.

კრებას თავმჯდომარეობდა თენგის მაისურაძე, მდივანი ნინო სულამანიძე. დღის წესრიგი: აჭარის მამულაშვილთა საგვარეულო კავშირის მოქმედების შესახებ.



მომხსენებლები: კავშირის თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძე – საქართველოს საგვარეულო მოძრაობაში მიმდინარე მოვლენები და ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის შესახებ;

დარბაზის საბჭოს თავმჯდომარე ლევან ფრუიძე; ხაჩიძეების გვარის წინამძლოლი დალი ხაჩიძე – სკოლებში რელიგიური უმრავლესობის წარმომადგენელთა მდგომარეობის შესახებ.

სიტყვით გამოვიდნენ: ელგუჯა ჩხაიძე, თემურ ნიჟარაძე, წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი მამა თევდორე, ლიანა კლარჯეიშვილი, დარბაზის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ნადირაშვილი.

მომხსენებლებმა და სიტყვით გამომსვლელებმა აღნიშნეს საგვარეულო მოძრაობაში მიმდინარე მოვლენების ნაკლოვანებები. გარდაქმნების და რეფორმების აუცილებლობა. მოუწოდეს რეფორმებისათვის შექმნილ საორგანიზაციო ჯგუფს დროულად დაამთავრონ ახალი წესდების დამუშავება, რათა დაურიდეს გვარის წინამძლოლებს განხილვისათვის.

მოიწონეს აჭარის მამულაშვილთა კავშირის მუშაობა, დასახული ამოცანების შესასრულებლად.



# ელგუჯა ბურდულის საიუბილეო საღაშო

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა საიუბილეო საღაშო მიძღვნილი ცნობილი კინომსახიობის, ბურდულების გვარის წინამძლოლის, სრულიად საქართველოს გვარების წინამძლოლთა დარბაზის საბჭოს წევრის, არაგველთა ხევისბერის ელგუჯა ბურდულისადმი.

მოგონებებით და სიტყვით გამოვიდნენ საზოგადო მოღვაწეები, ბატონ ელგუჯას მეგობრები და თაყვანისმცემლები. საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ და გვარების წინამძლოლთა დარბაზის სახელით ბატონ ელგუჯას მიესალმნენ ვაჟა ნადირაშვილი, ერეკლე ბრეგვაძე და კახა ბინაძე. მათ გადასცეს მილოცვის ადრესი და საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ საპატიო სიგელი, საგვარეულო მოძრაობაში აჟტიური მონაწილეობისათვის.

საღაშომ ჩაიარა გულთბილ ატმოსფეროში, მხატვრული ნომრების თანხლებით: სიმღერები შეასრულეს ირმა სოხაძემ, ელგუჯა ბურდულის შვილებმა და სხვებმა.



# ჭუმბურიძეთა გვარის ისტორია და თანამედროვეობა



ჭუმბურიძეთა გვარის წარმოშობის ისტორიაზე დოკუმენტურად დასაბუთებული, სარწმუნო მასალა არ მოგვეპოვება. არსებობს ვარაუდები, ვერსიები. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იმერეთში ჭუმბურიძეთა გვარის წინაპრები სამეგრელოდან გადმოვიდნენ ბატონთან კონფლიქტის გამო. საგზლად ხურჯინით წაბლი – მეგრულად ჭუმბური – წამოუღიათ და მეფეს ეახლნენ ჭუმბურიძის გვარით, ერთგულება – მორჩილება შეჰფიცეს მას. მეორე ვერსიით, ჭუმბურიძეთა გვარის წინაპრები სვანეთიდან ჩამოვიდნენ, სადაც სოფელ ჭუმბურის მკვიდრნი ყოფილან და გვარიც აქედან მიუღიათ. მესამე ვერსია სამცხეს უკავშირდება, რადგან სამცხეურ დიალექტზე „ჭუმბური“, ერბოში მოშუშულ დაფხვნილ პურს ნიშნავს. და ბოლოს, ჭუმბური საკუთარი სახელი ყოფილა ძველ საქართველოში და ამიტომ ისე, როგორც ქართული გვარების უმრავლესობა, ეპონიმური ტიპისაა, ანუ მის ფუძეში ფიქსირებულია წინაპრის საკუთარი სახელი.

ასეა თუ ისე, ერთი, რაც თამამად შეიძლება ითქვას და ეჭვს არ

ინვევს, ჭუმბურიძეთა გვარის წარმომადგენლები, რომელთა რიცხოვნობა საპროგნოზო მონაცემებით დღეისთვის 5000 კაცამდეა, ოდითგან ეროვნულ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი და შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი განვითარების საქმეში.

დღეისათვის საქართველოში ათას გავრცელებულ გვარს შორის რიცხოვნობით ჭუმბურიძეთა გვარი 116-ე ადგილზეა, ხოლო იმერეთში გავრცელებულ გვარებს შორის კი 30-ე ადგილზე. ყველაზე მეტი ჭუმბურიძე ცხოვრობს ზესტაფონის რაიონში – 1150-ზე მეტი, თბილისში – 800-ზე მეტი, ლაგოდეხში – 360-ზე მეტი, ჭიათურაში – 350-ზე მეტი, თერჯოლაში – 250-ზე მეტი.

დღემდე მოკვლეული მასალების მიხედვით, ჭუმბურიძეთა გვარი ყველაზე ადრე მოიხსენიება ნიკორწმინდის ეკლესიის ხელნაწერში – „თვენი“, რომელიც იმერეთის მეფის გიორგი II-ის დაკვეთითაა შესრულებული და იოვაკიმე ჭუმბურიძისა და ზოსიმე კარგარეთელის მიერაა გადაწერილი 1562 წელს.

ჭუმბურიძეები მოხსენებულია

აგრეთვე 1578 წლით დათარიღებული ქუთაისის საყდრის ბეგარის (გადასახადების) დავთარში.

1716 წლითაა დათარიღებული სათავადაზნაურო სიგელი, რომელსაც ხელს აწერს ბატონიშვილი დავითი (იმერეთის მეფის გიორგი VI-ის ძე). ამ სიგელით დავით ბატონიშვილმა სამეფო კარის ცნობილ სახლთუხუცესს და ქალაქთა და ციხეთა მოურავს ჭუმბურიძეს უბოძა ერთი გლეხის ოჯახი. როგორც ჩანს, ეს ისტორიული ფაქტი აქვს გამოყენებული მწერალ აკაკი ბელიაშვილს თავის ისტორიულ რომანში „ოქროს ჩარდახი“, სადაც საუბარია სამეფოში ცნობილ მოურავზე ჯაჯანა ჭუმბურიძეზე.

1716 წლითაა დათარიღებულია აგრეთვე სათავადაზნაურო სიგელი, რომელიც ნიკოლოზ ჭუმბურიძეს გადაუწერია. 1720–1730 წლებს მიეკუთვნება ხახულის ღვთისმშობლისათვის შეწირულობის სამეფო სიგელი, რომელსაც სხვებთან ერთად ოთარ ჭუმბურიძეც აწერს ხელს.

1762 წლითაა დათარიღებული იმერეთის მეფის სოლომონ I-ის უწყისი, რომელიც სიმონთელ გიორგი ჭუმბურიძისა და მისი შთამომავლობისათვის ქონებრივ და საგადასახადო საკითხებს ეხება.

1774 წლის 26 აგვისტოს დავით ბატონიშვილს (შემდგომში იმერეთის მეფე დავით II), თავის ერთგულ კაპანაძეთათვის წყალობის წიგნი უბოძებია, რომელსაც ამონმებს სახლთუხუცესი და მოურავი გიორგი ჭუმბურიძე.

1784 წლის 16 თებერვალს იმერეთის მეფის დავით II-ის მიერ დამტკიცებული სიგელით სვირის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას ებოძა მამული, რომელსაც მოურავი გიორგი ჭუმბურიძეც ადასტურებს.

1791 წლის ბეგარის გარიგების ერთ-ერთ წიგნში მოხსენიებულია სიმონთელი მღვდელი გიორგი ჭუმბურიძე.

1787-1797 წლების იმერეთის მეფეების დავით II-ისა და სოლომონ II-ის სიგელებში მოხსენიებულია სიმონთის, ბოსლევისა და საზანოს ჭუმბურიძეები. რუსი გენერლის ლაზარევის 1801 წლის 22 თებერვლის მოხსენებას ერთვის გამოჩენილ ქართველ მეომართა სია, სადაც მოიხსენიება კაპიტანი გიორგი ჭუმბურიძე. 1804 წლის მორიგების ერთ-ერთ წიგნში მოხსენიებული არიან ბოსლევში მცხოვრები ჭუმბურიძეები და მიქაბერიძეები. 1808

წელს კონსტანტინე ბატონიშვილს სვირის წმინდა გიორგი ეკლესიისათვის წყალობის წიგნი უბოძებია, რომელსაც მოურავი ქაიხოსრო ჭუმბურიძეც ადასტურებს.

1850 წლით დათარიღებული იმერეთის თავადთა და აზნაურთა წოდებას მიკუთვნებულ პირთა სიაში, რომელიც ქართველების წარდგინებით რუსმა მოხელეებმა შეადგინეს და ამის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა, მოხსენიებულია სიმონთელ აზნაურთა თვრამეტი კომლი.

შეიძლება სხვა მრავალი ფაქტის მოყვანა ჭუმბურიძეთა გვარის ისტორიული წარსულიდან. ამკარაა, რომ XVI-XIX საუკუნეებში ქართულ სიგელ-გუჯრებში და სხვა დოკუმენტებში ჭუმბურიძენი წარმოდგენილნი არიან, როგორც იმერეთის მეფეთა, დედოფალთა, ბატონიშვილთა, კათალიკოსთა, მიტროპოლიტთა, თავადთა და აზნაურთა ერთგული და სანდო პირები.

იმერეთის სამეფო ლაშქარში ჭუმბურიძეთა გვარის მეომრები თავად აბაშიძეთა, წერეთელთა და ჩხეიძეთა დროშებს ქვეშ იბრძოდნენ.

დღემდეა შემონახული ჭუმბურიძეთა გვარსახელის ფუძე ზემო იმერეთის ტოპონიმიკაში. ასე მაგალითად: ჭუმბურიძეების უბნებად მოიხსენიება მცირე დასახლებები სოფლებში: ენერში, სასახლისუბანში, ქვემო ბერეთისაში და წირქვალში; ჭუმბურიძეების ახო-საძოვარი ჭიათურის სატყეოში და სახნავი სოფელ ზემო ჭალოვანში; ჭუმბურიძის გვერდი – ტყე სოფელ დიდნიფელაში; ჭუმბურიძის ნამოსახლი – სახნავი სოფელ რცხილათში; ჭუმბურიძისეული ვენახი არგვეთასა და ღორეშაში; ტყე – ზედა საქარაში; ყანა სოფელ სასახლისუბანში და სხვა.

როდესაც კახეთის დაცარიელებულ მიწებზე უცხო თესლის დამკვიდრების საშიშროება იდგა, სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით ანთებულ რაჭისა და იმერეთის სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებთან ერთად, ჭუმბურიძენიც უყოყმანოდ ჩასახლდნენ ლაგოდეხის რაიონში და მოკლე დროში სანიშნო სამეურნეო, საზოგადოებრივი და ინტელექტუალური თვისებებით წარმოჩნდნენ. ასევე, მოხდა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთშიც, ძირითადად აწყურში.

ბევრი გამოჩენილი პიროვნების სახელი ამშვენებს

← ჭუმბურიძეთა გვარს, რომელთა შესახებ საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს.

საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე განისვენებს ნიკოლოზ (კოლია) ჭუმბურიძე (1886–1933), ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი (ფსევდონიმი „კაჟი“), რომელიც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში იყო ემიგრაციაში. მისი შვილი ჯუმბერ ჭუმბურიძე გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. თავისი პრინციპულობის, ფართო განათლებისა და ინტელექტის გამო მას უნივერსიტეტის სინდისს უწოდებდნენ.

თეიმურაზ სერგის-ძე ჭუმბურიძე (1891–1937) ცნობილი ქართველი პედაგოგი, სახალხო განათლების დამსახურებული მოღვაწე, დასავლეთ საქართველოს განათლების განყოფილების გამგე, ავტორი წიგნებისა „საზოგადოებათმცოდნეობა“ და „პოლიტიკური ეკონომიის მოკლე კურსი“, აღიარებული, ავტორიტეტიანი და უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ 1930 წელს, როცა მაიაკოვსკიმ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე, სამგლოვიარო სხდომა, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სახელდახელოდ ქუთაისში შეიკრიბა. მოხსენება წაიკითხა და მაიაკოვსკის ლიტერატურული მოღვაწეობა პირველად შეაფასა თეიმურაზ ჭუმბურიძემ. გამოჩენილი კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ირაკლი ჭუმბურიძე თეიმურაზის შვილი იყო. ბატონი ირაკლი, შეიძლება ითქვას, ექიმად იყო დაბადებული. მისი საუბარი, გულისხმიერი დამოკიდებულება ავადმყოფებისადმი სამაგალითო იყო. ბატონი ირაკლი თანამოგვარეთათვის „დიდი ჭუმბურიძის“, სახელით იყო ცნობილი. დღეს ბატონი ირაკლის საქმეს ღირსეულად აგრძელებს მისი ვაჟი, ცნობილი ექიმი-კარდიოლოგი მურაზ ჭუმბურიძე.

უაღრესად განსწავლული და თვალსაჩინო მოღვაწე იყო თეიმურაზ ჭუმბურიძის ბიძაშვილი ალექსანდრე ჭუმბურიძე. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, შემდეგ კი ლაიპციგის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას იმდენად გამორჩეული

ინტელექტუალი იყო, უნივერსიტეტის რეკომენდაციით ლევ ტოლსტოის შვილიშვილების აღმზრდელ-მასწავლებლად მიუწვევიათ. უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პერსპექტიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების და ბიუჯეტის შედგენაში. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა სრულად დაეხარჯა თავისი ენერჯია მშობლიური ქვეყნის სამსახურში. თეიმურაზის მსგავსად, ისიც განუკითხაობის მსხვერპლი გახდა, 1938 წელს დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა.

ჭუმბურიძეთა საგვარეულოს საამაყო და უსაყვარლესი პიროვნებაა გამოჩენილი ფილოლოგი და კრიტიკოსი, მეცნიერების დოქტორი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილი-

ნიერ-ფილოლოგები, პროფესორები არიან.

ქართული ფარმაციის გუშაგი – არაოფიციალურად ასეთი წოდება ჰქონდა მინიჭებული კოლეგებისაგან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს, მედიკურ-ბიოლოგიური და სოციალური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსს ბიძინა ჭუმბურიძეს. ბატონმა ბიძინამ ეროვნული და პროფესიული პასუხისმგებლობა სრულად გამოამჟღავნა მაშინ, როცა 9 აპრილის ტრაგედიის შედეგების შემსწავლელი კომისიისათვის მოამზადა დასკვნა, რომელიც ა.სობჩაკმა თავის მოხსენებაში გამოიყენა და მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რა მოხდა საქართველოში 1989 წლის 9 აპრილს. ბატონი ბიძინას ვაჟი პროფესორი ვახტანგ ჭუმბურიძე ცნობილი ექიმი-კარდი-

ვლოდ დაიკარგა ფრონტზე 1944 წელს; სამამულო ომისა და წითელი დროშის ორდენებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა სიმონეთს ომიდან ექიმი იასონ (იაშა) გიორგის ძე ჭუმბურიძე; ალექსანდრე (დუხუნა) ჭუმბურიძე პოლკოვნიკის ჩინით ვალმოხდილი დაბრუნდა სოფელ როკითში, წლების მანძილზე იყო ბაღდათის სამხედრო კომისარი; ექიმი კარპე ჭუმბურიძე, მისი ძმა აბო ჭუმბურიძე, პოლკოვნიკი, სამხედრო ექიმი, ომის შემდგომ პერიოდში მოღვაწეობდა სამხედრო ექიმად სხვადასხვა რესპუბლიკაში, დიდი პატივით დაკრძალა ომის ვეტერანთა კავშირმა სანკტ-პეტერბურგში 2009 წელს. სამამულო ომის მონაწილე იყო ექიმი პავლე ჭუმბურიძე, რომელიც ექიმად მუშაობდა ზესტაფონისა და ლაგოდეხის რაიონებში. მისი შვილიშვილები პაატა და ზვიადი აფხაზეთისათვის ომის მონაწილენი არიან, დაიჭრნენ კიდევ. დღეს ისინი ბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან.

საკმაოდ ცნობილი პიროვნებები იყვნენ: თბილისის „დინამოს“, ბორის პაიჭაძის თაობის ფეხბურთელი გიორგი (ჟორა) ჭუმბურიძე; დამსახურებული პედაგოგები – დიომიდე, ალექსანდრე (საშა), კალერია, ქეთო, ლეონინე და ვალოდია ჭუმბურიძეები; ძველი თაობის დამსახურებული რკინიგზელები: მირონ, ვარდენ, ალექსანდრე, ერმიგონ, ამბროსი, პარმენ, ალიოშა, შალიკო ჭუმბურიძეები. გაზეთ „ამიერკავკასიის რკინიგზელის“, საკუთარი კორესპონდენტი დავით სევასტის ძე ჭუმბურიძე; ჭიათურისა და ბელღევის რკინიგზის სადგურების უფროსი დავით იასონის ძე ჭუმბურიძე; რკინიგზელთა საშუალო თაობის ღირსეული წარმომადგენლები – გიორგი (ჯოჯია), პეტუშა, გივი, მიშა ჭუმბურიძეები. საქართველოში პროფკავშირული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი ილია დავითის-ძე ჭუმბურიძე; კავშირგაბმულობის დარგის დამსახურებული მუშაკი ვალოდია ბიქტორის-ძე ჭუმბურიძე; კომერსანტი დავით (ბიჭიკო) ჭუმბურიძე, იგი ილია ჭუმბურიძესთან ერთად საგვარეულო შეკრებების ინიციატორი იყო, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დაიღუპა კრიმინალებთან შებრძოლებისას ოჯახისა და გვარის ღირსების დაცვისას. ჭუმბურიძეთა გვარის კოლორიტული პიროვნებები იყვნენ: ცნობილი პროვიზორი, თერაპიის რაიონული ცენტრის აფთიკის მმართველი რეზო ჭუმბურიძე, სამთო ინჟინერი გიგილა ბენიას-ძე ჭუმბურიძე, ელექტრო ინჟინერი ვანიჩკა პორფილეს-ძე ჭუმბურიძე, მრავალმხრივ განს-



სის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ზურაბ ჭუმბურიძე. ბატონი ზურაბი ცნობილი მეცნიერი და პედაგოგია, აღიარებულია უცხოეთშიც. მისმა ცნობილმა წიგნებმა „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „რა გქვია შენ“, „დედა ენა ქართული“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“, მკითხველთა დიდი მონონება დაიმსახურა და მის ავტორს კი პოპულარობა და აღიარება მოუტანა. ამასთან ერთად, ბატონი ზურაბი არის უაღრესად კეთილი და ყურადღებიანი, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება. მისი ოჯახი: მეუღლე, ლეილა ნიკოლაიშვილი, შვილები – თამარი და ნინო, სიძე – რამაზ ქურდაძე, მეც-

ლოლოგია. ასევე პროფესორია ფარმაციის დარგში მეორე ვაჟი – თამაზ ჭუმბურიძე, რომელიც ხელოვნების მოყვარულიც არის, რასაც ცხადყოფს მის მიერ შექმნილი ჭუმბურიძეთა საგვარეულო გერბი. აქვე პატივით უნდა ვახსენოთ ბიძინა ჭუმბურიძის მეუღლე და ვახტანგისა და თამაზის დედა, მედიცინის დამსახურებული მოღვაწე, ქალბატონი რუსუდანი.

საგანგებოდ ცალკე აღნიშვნის ღირსი არიან მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: აბო ჭუმბურიძე, ცნობილი ჟურნალისტი და სამხედრო კორესპონდენტი, გენერალჩანჩიბაძის დივიზიის საველე გაზეთის რედაქტორი უგზოუკ-



← წავლული ბუღალტერი აკაკი იასონის-ძე ჭუმბურიძე, სწავლული აგრონომი და სახელმწიფო მოხელე შალვა ოქროპირის-ძე ჭუმბურიძე, გამოჩენილი ადვოკატი კუკური ჭუმბურიძე, ნიგნიერი სახელმწიფო მოხელე ლევან (ლეუშა) ჭუმბურიძე, კომერსანტი გივი ჭუმბურიძე, რევიზორ-ბუღალტერი ტიტე ჭუმბურიძე, ინჟინერი, რამდენიმე მონვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჟორა ჭუმბურიძე, სახელმწიფო მოხელე საბა ჭუმბურიძე, ომის მონაწილე, პედაგოგი, შემდგომში მილიციის პოლკოვნიკი ვახტანგ კონსტანტინეს-ძე ჭუმბურიძე, ექიმები – მაცვალა და ლილი ჭუმბურიძეები და სხვები.

ბოსლევში მოღვაწეობს დამსახურებული პედაგოგი, ომის ვეტერანი შოთა ილიას-ძე ჭუმბურიძე და პოლიციის ვეტერანი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაინვალიდებული ვახტანგ გიორგის-ძე ჭუმბურიძე. აქტიურად საქმიანობს რუსთაველი ასევე პოლიციის ვეტერანი, ვიცეპოლკოვნიკი – მურმან დავითის ძე ჭუმბურიძე.

ჭუმბურიძეები ამყოფებენ გვარის სათნო, უმშვენიერესი, გულისხმიერი ექიმით – ლია ჭუმბურიძით. იგი დღემდე მისაბაძი მოთმინებით უმკლავდება ტრაგედიას, რომელიც მოკლე დროში შვილის – შესანიშნავი მეცნიერისა და ლექტორის, პროფესორის, ღირსების ორდენის კავალერის გია ბარელაძისა და მეუღლის – სამხედრო ექიმის, მედიცინის დოქტორის, პოლკოვნიკ პალადიონ ბარელაძის გარდაცვალების გამო განიცადა. ანალოგიური მძიმე ტრაგედია განიცადეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დამსახურებულმა თანამშრომელმა, ლამარა ჭუმბურიძემ მეუღლისა და შვილის დაღუპვის გამო, მეგონა, გულნაზი და მანანა ჭუმბურიძეებმა მეუღლეების გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ენით აუნერელი ტრაგედია დაატყდა თავს უკეთილშობილეს ქალბატონს მერი ჭუმბურიძეს ერთადერთი ვაჟკაცის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ჭუმბურიძეთა გვარს ამშვენებენ: დამსახურებული სამართალდამცველი ნუნუ ჭუმბურიძე; პოლიტოლოგიის დოქტორი, შესანიშნავი მეცნიერი და ორატორი, პროფესორი, ქუთაისის კოლორიტი, აღიარებული თამადა და ყველა კეთილი საქმის აქტიური მონაწილე ოთარ ჭუმბურიძე; მეცნიერი და ბიზნესმენი, პროფესორი, პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ლავრენტი ჭუმბურიძე; ცნობილი ჟურნალისტი იოსებ

(სოსო) ჭუმბურიძე. სოსო წლების მანძილზე სამაგალითოდ უძღვებოდა გაზეთ „თბილისის“, რედაქციას როგორც მთავარი რედაქტორი. სამნუხაროდ, დღემდე ჭიანურდება ამ პოპულარული გაზეთის აღდგენა; საქართველოში სპორტული კარატეს დამკვიდრებისა და განვითარების მოამბე, პოპულარიზატორი, მწვრთნელი და მრავალი ჯილდოს მფლობელი ავთო ჭუმბურიძე.

საქართველოს შეირაღებული ძალების ღირსეული წარმომადგენლები არიან: სასიქადულო მამულიშვილი, გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ჯემალ ჭუმბურიძე და დამსახურებული პოლკოვნიკები თემურ, ნიკოლოზ, და ჯამბულ ჭუმბურიძეები; მხატვარი ვიქტორ ჭუმბურიძე; სტომატოლოგები რობერტი და ნელი ჭუმბურიძეები; ინჟინერი ლომარი ჭუმბურიძე, რომელიც ვაჟკაცურად უმკლავდება საყვარელი მეუღლის უდროოდ გარდაცვალების ტრაგედიას;

ახალგაზრდა, უკვე ცნობილი დიპლომატი ზვიად (სანდრო) ჭუმბურიძე;

შესანიშნავი პიროვნება, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული თამაზ ჭუმბურიძე;

მღვდლები: ზოსიმე და კახაბერ ჭუმბურიძეები;

მეცნიერების დოქტორები, პროფესორები ანა, ზურიკო, გიორგი და რუსუდან ჭუმბურიძეები; სწავლული აგრონომი დათუნა ჭუმბურიძე.

სოფელ ნახშირღელის საჯარო სკოლის დირექტორი ქართლოს ჭუმბურიძე; ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა წარმომადგენლები თემურ, ნუკრი და ბათუ ჭუმბურიძეები;

ექიმები რეზო, დავით, გიორგი და გივი ჭუმბურიძეები; სამედიცინო საქმის ახალგაზრდა სპეციალისტები - და-ძმა ნინო და გიორგი თამაზის ძე ჭუმბურიძეები;

ახალგაზრდა ექიმი-სტომატოლოგი გიორგი ჭუმბურიძე;

ხატმწერი ირაკლი ჭუმბურიძე – საგვარეულო ხატის ავტორი;

მუსიკოსი თამუნა ჭუმბურიძე;

პროკურორი ვახტანგ ჭუმბურიძე;

საბანკო სისტემის პერსპექტიული თანამშრომლები ნინო და თამუნა ჭუმბურიძეები;

ბიზნესმენები და მენარმეები: ბორის, თემურ, ფრიდონ, რამინ, გურამ, კოლია, გოგი, თომა, გია, დათო, კობა, გელა, პაატა, ზაზა, ნიკა, თენგიზ, სპარტაკ, მამუკა, რატი, გიორგი ჭუმბურიძეები;

სახელმწიფო მოხელეები, ბესიკ, დათო, რატი, ზვიად, მალხაზ, ლაშა, პეტრე, ირაკლი ჭუმბურიძეები; უკვე პოპულარული მსახიობები სიკო და გიორგი ჭუმბურიძეები,

ქორეოგრაფი თამუნა ჭუმბურიძე და სხვები.

ჭუმბურიძეებს ახარებთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის კახა ჭუმბურიძის, მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორის, კარატეში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მალხაზ ჭუმბურიძის, ფარიკაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ხათუნა ჭუმბურიძის და წყალბურთში საქართველოს ნაკრების მეკარის ზურიკო ჭუმბურიძის სპორტული და სამსახურებრივი წარმატებები.

ნაადრევად და მოულოდნელად გამოაკლდნენ გვარს მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები: სინდისისა და პატიოსნების განსახიერება, პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე, ცნობილი მოსამართლეები ლუარა და თემურ ჭუმბურიძეები, ცხოველები თემური აღმოდებულ ავტობუსიდან არ გადმოვიდა, ვიდრე ქალებისა და ბავშვების უსაფრთხოება არ უზრუნველყო საკუთარი თავგანწირვის ფასად. უდროოდ დაამწუხრეს ოჯახები გუგულა, რუსუდან, ცისანა (ქუსო) რეზო და მაია ჭუმბურიძეებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსპექტიულმა ახალგაზრდა პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა: აჩიკო და მურთაზ ჭუმბურიძეებმა; გვარის კოლორიტული პიროვნებები იყვნენ გელა, რამაზ, სულიკო და გია ჭუმბურიძეები; სტუდენტობა ვერ მოასწრეს უნიჭიერესმა ახალგაზრდებმა ირაკლი და ნატო ჭუმბურიძეებმა. ერთ ნელზე ცოტა მეტი გავიდა, რაც უზომოდ დაამწუხრა ოჯახი, გვარი და ნათესაობა ქართლოს ჭუმბურიძის ნაადრევმა გარდაცვალებამ. იგი იყო ძმობისათვის, მეგობრობისთვის, დახმარებისთვის, სიყვარულისთვის დაბადებული კაცი. საქართველოს ფეხბურთის სამყაროს ცნობილი წარმომადგენელი, ბევრი წამოწყებისა და ღონისძიების ავტორი და ნოვატორი. მისი უფროსი ვაჟი, საჯარო სკოლის მოსწავლე კახა, მამის მსგავსად აქტიური, გვარის მოყვარული ახალგაზრდაა. ამიტომაც იგი საგვარეულო კავშირის გამგეობის წევრად არჩეული. კრიმინალებთან შეტაკების დროს მამაცურად დაიღუპა შესანიშნავი ახალგაზრდა, პერსპექტიული სამართალდამცველი ზაზა ჭუმბურიძე, მოულოდნელად გარდაცვალენ საკმაოდ ცნობილი მწვრთნელები ფეხბურთში გურამ და შუქრი ჭუმბურიძეები. განათლების სისტემის წარმატებული ხელმძღვანელი – მუშაკი გურამ ჭუმბურიძე. მათ ხსოვნას სათუთად ინახავენ ოჯახები და გვარის წარმომადგენლები.

ბევრი შესანიშნავი ახალგაზრდა იზრდება გვარში, ისინი ტრადიცი-

ულად ყოველი თვის პირველ კვირას იკრიბებიან სამების ტაძრის ეზოში საგვარეულო ხესთან, ტაძარში ანთებენ სანთლებს, გეგმავენ ერთობლივ ღონისძიებებს. ჭუმბურიძეების საგვარეულო ხატი ყველა ჭუმბურიძის ოჯახში 2–3 დღით უნდა დაბრძანდეს, ოჯახში რჩება საგვარეულო ხატისა და გერბის მინი ვარიანტი. ხატი ამჟად იმერეთშია.

საგვარეულო საზოგადოებას ახლო მომავალში გადანყვეტილი აქვს: ჭუმბურიძეთა გვარის რიცხოვნობის ახალი მონაცემების დადგენა; მასალების შეგროვება „ჭუმბურიძეთა საგვარეულო მატრიანის“ (ენციკლოპედიის) გამოსაცემად; ჭუმბურიძეთა გვარის წარმომადგენლებთან შეხვედრა სიმონეთში, ბოსლევში, საზანოში, ჭიათურაში, ლაგოდეხში. ჭუმბურიძეთა გვარის წარმომადგენლების განვერიანება „თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საზოგადოებაში“; უცხოეთში მცხოვრებ ჭუმბურიძეთა ოჯახების მოძიება და მათთან კონტაქტის დამყარება; ჭუმბურიძეთა გვარის ნიჭიერ, წარჩინებულ მოსწავლეთა და სტუდენტთა მოძიება; გვარის მრავალშვილიანი ოჯახების გამოვლენა და მათთვის ქველმოქმედების წინადადების შემუშავება და სხვა.

ჭუმბურიძეები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მტკივნეულად განიცდის იმ მძიმე სოციალურ მდგომარეობას, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში არსებობს, მაგრამ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და თვლიან, რომ ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს გვარის წარმომადგენელთა ამაღლებული განწყობილების შექმნას, ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის სურვილის გაღრმავებას, ნათესაური კავშირის განმტკიცებას, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ღონის გაუმჯობესებაში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სტატიაში ასახვა ვერ ჰპოვა ჭუმბურიძეთა გვარის რიგმა წარჩინებულმა წარმომადგენლებმა, რისთვისაც მათ ბოდიშს ვუხდით. ამ ხარვეზს გამოასწორებს, საგვარეულო ხატის ჭუმბურიძეთა ოჯახებში დაბრძანებიდან მიღებული ინფორმაცია.

**მამია ჭუმბურიძე**  
საგვარეულო  
კავშირის თავმჯდომარე,  
ეკონომიკის  
დოქტორი, პროფესორი,  
ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი.

აპრილი, 2016 წელი

# 14 აპრილი დედაენის დღეა

მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასამდე ენა არსებობს, ანბანი კი – მხოლოდ თოთხმეტი (არაბული, ბერძნული, ებრაული, ეთიოპიური, იაპონური, ინდური, კორეული, ლათინური, მონღოლური, სირიული, სლავურ-კირილური, სომხური, ქართული, ჩინური)..

ცნობილია ქართული ანბანის სამი სახეობა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული.

სხვადასხვა დროს ქართული ანბანის ამ სამი სახეობიდან იხმარებოდა სხვადასხვა:

მეცხრე საუკუნემდე – ასომთავრული.

მეცხრედან მეთერთმეტემდე – ნუსხური.

მეთერთმეტედან დღემდე იხმარება მხედრული.

ქართულ ანბანის ყოველ ასოს, ისევე, როგორც სხვა ანბანთა ასოებს, თავისი რიცხვითი მნიშვნელობა აქვს.

(შნის შემოღებამდე, შნი და შიე ერთად ნიშნავდა შნს, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობა 400 ჰქონდა შიეს)..



თავდაპირველად ქართველური და ე.წ. კავკასიური ენები ერთიანი იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა; დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთმანეთს დაშორებიან და სამხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან.

ივ. ჯავახიშვილი

კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის.

კარლ რიტირი გერმანელი გეოგრაფი

კოლხთა ოქროს საწმისი იყო ტყავზე ნაწერი წიგნი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო.

იონან ანტიოქალი VII საუკუნის ისტორიკოსი

კოლხებს შენახული აქვთ თავიანთი მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი.

საქლონიოს როდოსელი დე. ნელთარცხ. III ს. მეცნიერი და პოეტი

ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგია ყველაზე სრულყოფილი ანბანი არსებული ანბანთა შორის. ყიველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იგივე ბგერის გამომხატველია.

ყველა ევროპული ენა ერთი დიდი სირთულის წინაშე დგას, — ესაა ორთოგრაფია.

ქართველთათვის, თავიანთი სრულყოფილი ანბანის წყალობით, ეს სირთულე თითქმის არ არსებობს.

ქართული ანბანი თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნას მთელი

კავკასიური ენების საერთო ანბანის საფუძვლად.

პ.პ. უსლარი რუსი ენათმეცნიერი

კავკასიური ენები ნარჩენია ენათა დიდი ოჯახისა, რომელიც მცირე აზიასა და ხმელთაშუა ზღვის მთელს აუზს მოიცავდა და რომლისაგანაც დასავლეთში ბასკური დაგვრჩა.

ფრიდრიკ მიულერი ავსტრიელი ენათმეცნიერი

ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულად და ზუსტად გამომხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასონიშანი შეესაბამება, ყოველი ასონიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერცერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება.

უილიამ ედუარდ დავიდ ალანი ინგლისელი ორიენტალისტი



## ინდიკო შაუთიძე

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ შაუთიძეების გვარს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, დამსახურებული ინჟინერი, ღვანლმოსილი ადამიანი ინდიკო მიხეილის-ძე შაუთიძე.

იგი დაიბადა 1928 წლის 1 აპრილს ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო რუსეთში, ვოლგა-დონის არხის მშენებლობაზე. შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქმახტპროექტი“. წლების მანძილზე იყო განყოფილების უფროსი.

იყო მრავალი ჯილდოს მფლობელი, მათ შორის „ღირსების ორდენის“. თანამშრომლებს შორის სარგებლობდა დიდი პატივისცემით და სიყვარულით.

ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე ქალბატონი ელენე ჭიჭინაძე, რომელთანაც შექმნა სანიმუშო ოჯახი და ამრავლა შაუთიძეების გვარი: შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით.

თანავეგრძნობთ და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს და შაუთიძეების გვარს ღირსეული პიროვნების ბატონ ინდიკო შაუთიძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“

## აკითხველთა საყურადღებოდ!

მონოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

## ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ „გვარი და ტრადიციასთან“, მოგვანოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ E-mail: [vaja39@mail.ru](mailto:vaja39@mail.ru)

ჩვენი რეკვიზიტები

ISSN 2449-2280

გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:

[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)

## ჩვენი რეკვიზიტებია:

სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის ფონდი  
ს/კ 404953154  
ბანკი: „რესპუბლიკა“ ბანკი  
ა/ა GE51BR0000010385861378

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:

790770871; 593 531 950

## სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუჩია

ვაჟა ნადირაშვილი

თინათინ მანუშაძე

მერაბ ლეკვიშვილი

ნინო სულამანიძე

ტელ: 599 90-26-01

ტელ: 599 97-41-90

ტელ: 577 41-02-00

ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი  
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871